საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1592 2025 წლის 30 სექტემბერი ქ. თბილისი

გ. კაკაურიძის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, დოკუმენტზე - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2026-2029 წლებისათვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე - „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონის პროექტზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ

„საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, დოკუმენტზე - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები

2026-2029 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე - „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე, ასევე, წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე - გიორგი კაკაურიძე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**